



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 16:00-17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
2. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია
3. ლევან ალაფიშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. გიორგი ძამუკაშვილი - სათემო ფონდი „ადგილის დედა“
5. მარი ბენდელიანი - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
6. ნინო ღვედაშვილი - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
7. ქეთევან ყიფშიძე - საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი
8. ვლადიმერ ბოჟაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
9. გიორგი სტეფანაძე - მეგობრობის ხიდი ქართლოსი
10. სალომე ჩაგელიშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

განსახილველი საკითხები:

1. 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
2. ჯგუფთაშორისი თანამშრომლობა გენდერულ საკითხებზე;
3. ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატების დასახელება.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა სამოქმედო გეგმა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა ლევან ალაფიშვილმა წარადგინა წინადადება ჩაემატოს საკითხები საჯარო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ გააჟღერა ინიციატივა, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები იყოს განგრძობადი და აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე მუშაობა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

დისკუსიის შემდეგ დამტკიცდა სამოქმედო გეგმა.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა განიხილა ჯგუფთაშორისი თანამშრომლობა გენდერულ საკითხებზე. ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა, დამსწრეებს გააცნო მეოთხე სამუშაო ჯგუფის სურვილი ჩაერთონ გენდერის თემატიკაზე მომუშავე ქვეჯგუფის საქმიანობაში და შეიქმნას ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფი. დამსწრეებმა გამოხატეს მზაობა აღნიშნული ინიციატივისადმი.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა ლაშა ტულუშმა ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ მემორანდუმით აღებულ ვალდებულებას, სამინისტროების წარმომადგენლები შეხვდნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და განიხილონ პლატფორმის მიერ ინიცირებული საკითხები, მათ შორის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების მეშვეობით პლატფორმამ ხელისუფლებას შესთავაზოს კონკრეტული პოლიტიკის ხედვა. გარდა ამისა, პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ხელმოწერილი თანამშრომლობის მეომრანდუმის შინაარსი და მოკლედ ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რასაც მემორანდუმი სთავაზობს პლატფორმის წევრებს. მან ასევე განიხილა საერთო კრების პროცედურული საკითხები და მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისთვის.

პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, მემორანდუმის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხის შესახებ, რომელიც კონრად ადენაუერის ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდება, რაც გულისხმობს მათ მხრიდან ექსპერტის ჩართულობას.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე ჯგუფის წევრებმა განიხილეს ჯგუფის კოორდინატორების არჩევის საკითხი.

სათემო ფონდი „ადგილის დედის“ წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ძამუკაშვილმა წარადგინა წინადადება წახალისონ ახალგაზრდების აქტიურობა პლატფორმაში და მისცენ შესაძლებლობა უკვე გამოცდილი წევრების ექსპერტიზაზე დაყრდნობით მეტად ჩაერთონ პლატფორმის საქმიანობაში. მან დააყენა წინადადება კოორდინატორებად დასახელდნენ პლატფორმის ახალგაზრდა აქტიური წევრები.

შეხვედრაზე დასახელებული რამოდენიმე კანდიდატთან ერთად, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საერთო კრებაზე დასახელდეს სხვა კანდიდატებიც.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.